დირექტორის შესარჩევი კონკურსისა და არჩევნების ჩატარების წესი

თავი I. ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. რეგულირების სფერო

1. დირექტორის შესარჩევი კონკურსისა და არჩევნების ჩატარების წესი ადგენს ობსერვატორიის დირექტორის თანამდებობაზე პირის შერჩევასა და თანამდებობაზე გამწესებასთან დაკავშირებით წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებს.

2. წინამდებარე წესის მიზანია ობსერვატორიის დირექტორის შესარჩევი კონკურსის, მისი არჩევისა და თანამდებობაზე დასანიშნად საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრისთვის (შემდეგში - „მინისტრი“) წარდგენის საკითხებთან დაკავშირებით წარმოშობილი სამართლებრივი ურთიერთობების რეგულირება მინისტრის 2019 წლის 20 ნოემბრის №227/ნ ბრძანებით დამტკიცებული სსიპ - საქართველოს ევგენი ხარაძის ეროვნული ასტროფიზიკური ობსერვატორიის წესდებისა (შემდეგში - „ობსერვატორიის წესდება“) და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

3. წინამდებარე წესი შემუშავებულია „მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და მათი განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონისა და ობსერვატორიის წესდების საფუძველზე.

მუხლი 2. ობსერვატორიის დირექტორის შესარჩევი კონკურსისა და არჩევნების ენა

ობსერვატორიის დირექტორის შესარჩევი კონკურსსა და არჩევნებთან დაკავშირებული პროცესი წარიმართება სახელმწიფო ენაზე.

თავი II. დირექტორის შესარჩევი კონკურსი და არჩევნები

მუხლი 3 . დირექტორის შესარჩევი კონკურსისა და არჩევნების მიზანი

დირექტორის შესარჩევი კონკურსისა და არჩევნების მიზანია ობსერვატორის დირექტორის თანამდებობის დასაკავებლად საუკეთესო კანდიდატის არჩევა.

მუხლი 4. დირექტორის შესარჩევი კონკურსისა და არჩევნების სამდივნო

1. ობსერვატორიის დირექტორის შესარჩევი კონკურსისა და არჩევნების ორგანიზების მიზნით სამეცნიერო საბჭო ქმნის სამდივნოს (შემდეგში - „სამდივნო“), რომელიც:

ა) იღებს და არეგისტრირებს (eflow) დირექტორის კადიდატად რეგისტრაციის შესახებ განცხადებებს, ახდენს საქმეთა ფორმირებას, ამზადებს მათ სამეცნიერო საბჭოსთვის წარსადგენად;

ბ) აორგანიზებს სამეცნიერო საბჭოს სხდომების ჩატარებას, აწარმოებს წევრთა ინფორმირებას სხდომის დანიშვნის შესახებ და მსგ.;

გ) აწარმოებს სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილებების დაინტერესებული პირებისათვის გაცნობას;

დ) ახორციელებს ელექტრონული ფოსტის - vacancy@abao.ge ადმინისტრირებას;

ე) ახორციელებს საჭირო კომუნიკაციას დაინტერესებულ პირებთან/კანდიდატებთან, მათ შორის კანდიდატის ინფორმირებას განცხადებაში ხარვეზ(ებ)ის შესახებ (ასეთის გამოვლენის შემთხვევაში) და მათი აღმოფხვრის მონიტორინგს;

ვ) ახორციელებს სამეცნიერო საბჭოს ან მისი თავმჯდომარის ცალკეულ დავალებებს და ახდენს ანგარიშგებას.

2. კომისიის სამდივნოს წევრს აქვს კომისიის სხდომებზე დასწრების და კომპეტენციის ფარგლებში განმარტების გაკეთების უფლება, თუმცა არ აქვს გადაწყვეტილებაზე მსჯელობის ან და გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩარევის და ხმის უფლებები.

3. სამდივნო წყვეტს ფუნქციონირებას მინისტრის მიერ ობსერვატორიის დირექტორის თანამდებობაზე სამეცნიერო საბჭოს მიერ წარდგენილი პირის დანიშვნის დღიდან.

მუხლი 5. დირექტორის შესარჩევი კონკურსისა და არჩევნების ეტაპები

1. ობსერვატორიის დირექტორის შესარჩევი კონკურსი და არჩევნები ტარდება ოთხ ეტაპად:

I ეტაპი - განცხადებების მიღება;

II ეტაპი - განცხადებების შემოწმება;

III ეტაპი - პრეზენტაცია;

IV ეტაპი - არჩევნები.

2. **განცხადებების მიღების ეტაპზე,** საამისოდ დადგენილ ვადაში, წარმოებს ობსერვატორიის დირექტორის შესარჩევ კონკურსსა და არჩევნებში მონაწილეობის მსურველ პირთა დირექტორის კანდიდატად რეგისტრაციის შესახებ განცხადებების მიღება და მათი რეგისტრაცია, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3. **განცხადებების შემოწმების ეტაპზე** მოწმდება ობსერვატორიაში რეგისტრირებული განცხადებების (თანდართულ დოკუმენტებთან ერთად) ტექნიკური შესაბამისობა დირექტორის თანამდებობის დასაკავებლად დადგენილ საკონკურსო საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან და კონკურსის სხვა პირობებთან. თუკი განცხადებას დაუდგინდება ხარვეზი (დოკუმენტები წარმოდგენილი ან შევსებულია არასრულყოფილად და მსგ.), კანდიდატს ეძლევა ვადა ხარვეზის აღმოსაფხვრელად. თუ ამ ვადაში ხარვეზი არ აღმოიფხვრა, სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილებით კანდიდატი კარგავს კონკურსში მონაწილეობის შემდგომი გაგრძელების უფლებას და დისკვალიფიცირდება კონკურსიდან. ამ ეტაპზე სამეცნიერო საბჭო მსჯელობს განცხადებებზე და მათი გადარჩევის შედეგად ამტკიცებს კონკურსის III ეტაპზე - ხედვის პრეზენტაციაზე დაშვებულ კანდიდატთა სიას.

4. ვადის დარღვევით წარდგენილი განცხადება (დოკუმენტაცია) რეგისტრირდება, თუმცა რჩება განუხილველი.

5. **პრეზენტაციის ეტაპზე** სამეცნიერო საბჭო დირექტორობის კანდიდატებისგან უშუალო კომუნიკაციის ფორმით ისმენს ობსერვატორიის განვითარების ხედვას.

6. **არჩევნების ეტაპზე** სამეცნიერო საბჭო კენჭს უყრის საარჩევნო სიაში განსაზღვრულ კანდიდატებს და გამარჯვებულ კანდიდატს წარუდგენს მინისტრს ობსერვატორიის დირექტორის თანამდებობაზე დანიშვნის მიზნით.

მუხლი 6. განცხადებების რეგისტრაცია

1. დაინტერესებულმა პირმა დირექტორის შესარჩევ კონკურსსა და არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად, საკონკურსო პირობებისა და ვადის დაცვით ელექტრონულ ფოსტაზე - vacancy@abao.ge სამეცნიერო საბჭოს უნდა წარუდგინოს:

ა) **განცხადება** დირექტორის კადიდატად რეგისტრაციის შესახებ (ხელმოწერილი, სკანირებული), შედგენილი სამეცნიერო საბჭოს მიერ დადგენილი ფორმის შესაბამისად;

ბ) **პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი** (პასპორტი ან პირადობის მოწმობა სკანირებული სახით). უცხო ენაზე შედგენილი დოკუმენტის არსებობის შემთხვევაში, სავალდებულოა წარმოდგენილ იქნას მისი ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი სახელმწიფო ენაზე;

გ) **ავტობიოგრაფია** (CV, ხელმოწერილი, სკანირებული) ფერადი ფოტოსურათით, შედგენილი ობსერვატორიის სამეცნიერო საბჭოს მიერ დადგენილი რეკვიზიტების დაცვით;

დ) **სამეცნიერო-კვლევითი პუბლიკაციების** (მინიმუმ 5) ჩამონათვალი, შესაბამისი ინტერნეტ-ბმულების მითითებით, რომლებიც 2015 წლიდან განცხადების (დირექტორის შესარჩევ კონკურსსა და არჩევნებში მონაწილეობის შესახებ) წარდგენის დღემდე პერიოდში გამოქვეყნებულია მაღალი (არანაკლებ 2) იმპაქტ-ფაქტორის მქონე სამეცნიერო ჟურნალებში, ობსერვატორიის პროფილის (ასტრონომია, ასტროფიზიკა და კოსმოსური მეცნიერებები) შესაბამისად;

ე) **„ობსერვატორიის განვითარების ხედვა“,** სასურველია მისი მოცულობა იყოს არაუმეტეს 600 სიტყვისა;

ვ) **აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტი** (სკანირებული). უცხო ქვეყანაში (გარდა 1991 წლამდე გაცემული დოკუმენტებისა) მიღებული განათლების ან/და სამეცნიერო ხარისხის არსებობის შემთხვევაში, სავალდებულოა წარმოდგენილ იქნას მისი აღიარების დოკუმენტი (სკანირებული), გაცემული საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ. განცხადებების რეგისტრაციის დროს აღიარების დოკუმენტის წარმოუდგენლობა არ შეაფერხებს ამ პირის მონაწილეობას დირექტორის შესარჩევ კონკურსსა და არჩევნებში, აგრეთვე, დირექტორად არჩევასა და უფლებამოსილი პირისთვის დასანიშნად წარდგენას, თუმცა კანდიდატი ვალდებულია, ობსერვატორიის დირექტორად მისი დანიშვნის შემთხვევაში ეს დოკუმენტი მიაწოდოს ობსერვატორიას დანიშვნიდან არაუგვიანეს 60 კალენდარული დღისა. ამ პირობის დარღვევის შემთხვევაში, სამეცნიერო საბჭო უფლებამოსილია მიმართოს მინისტრს შუამდგომლობით დირექტორისათვის უფლებამოსილების ვადაზე ადრე შეწყვეტის თაობაზე. რაც შეეხება აღნიშნული ვადის დადგომამდე ამ, აგრეთვე 1991 წლამდე გაცემული დოკუმენტის მფლობელი კანდიდატის, მონაწილეობას ობსერვატორიის დირექტორის შესარჩევ კონკურსსა და არჩევნებში, ეს პირები ვალდებულნი არიან სამდივნოს წარუდგინონ უცხოურ ენაზე გაცემული დოკუმენტის ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი სახელმწიფო ენაზე.

ზ) სამეცნიერო-კვლევითი და ადმინისტრაციული (ასეთის არსებობის შემთხვევაში) საქმიანობის **გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ი** (ცნობა, შრომის წიგნაკი ან სხვ. სკანირებული), საიდანაც უნდა ირკვეოდეს დაკავებული თანამდებობისა და სამსახურის დაწყების და დასრულების თარიღები. უცხო ენაზე გაცემული ცნობის არსებობის შემთხვევაში, სავალდებულოა კანდიდატმა წარადგინოს მისი ორიგინალი (სკანირებული) და სახელმწიფო ენაზე შესრულებული ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი (სკანირებული). აღნიშნული დოკუმენტ(ებ)ის წარდგენის ვალდებულება არ ვრცელდება იმ პერიოდთან დაკავშირებით, როდესაც ისინი დასაქმებულნი იყვნენ ობსერვატორიაში მისი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიუხედავად;

2. სამდივნო განცხადების მიღების დღესვე უდასტურებს კანდიდატს განცხადების მიღების ფაქტს. ასეთი დასტურის არარსებობის შემთხვევაში, გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად კანდიდატი დაუყოვნებლივ უნდა დაუკავშირდეს სამდივნოს.

3. კანდიდატმა დირექტორის შესარჩევ კონკურსსა და არჩევნებში მონაწილეობისას უნდა წარმადგინოს უტყუარი ინფორმაცია და დოკუმენტები, დაიცვას დადგენილი წესები და მოთხოვნები. იგი სრულადაა პასუხისმგებელი აღნიშნული პირობის დარღვევით გამოწვეული ზიანისათვის როგორც ობსერვატორიის, ისე მესამე პირების წინაშე.

4. კანდიდატს, მის არჩევამდე და მინისტრისათვის წარდგენამდე ნებისმიერ დროს, უფლება აქვს მიმართოს სამეცნიერო საბჭოს წერილობით და მოითხოვოს განცხადებაზე წარმოების შეწყვეტა.

5. სამეცნიერო საბჭო უფლებამოსილია დირექტორის შესარჩევი კონკურსისა და არჩევნების ნებისმიერ ეტაპზე გადაამოწმოს კანდიდატის მიერ წარმოდგენილ განცხადებაში და შესაბამის დოკუმენტებში მითითებული ინფორმაციის სისწორე და შეუსაბამობის დადასტურების შემთხვევაში მიიღოს გადაწყვეტილება მიმდინარე პროცესიდან ამ პირის დისკვალიფიკაციის შესახებ.

მუხლი 7. პრეზენტაცია

1. ობსერვატორიის დირექტორის შესარჩევი კონკურსისა და არჩევნების III ეტაპზე სამეცნიერო საბჭო ისმენს კანდიდატის ხედვას ობსერვატორიის განვითარების შესახებ. პრეზენტაცია წარიმართება კითხვა-პასუხის რეჟიმში.

2. პრეზენტაცია ტარდება სამეცნიერო საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე, დადგენილ დროს, ადგილზე და ფორმით (დისტანციურად, თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით აუდიო-ვიდეო ჩვენების გზით ან ფიზიკურად, ადგილზე გამოცხადებით).

3. კანდიდატი ვალდებულია გამოცხადდეს პრეზენტაციაზე მისთვის გამოყოფილ დროს. რაიმე შეფერხების არსებობის შემთხვევაში, იგი ვალდებულია დროულად აცნობოს ამის შესახებ სამდივნოს.

4. სამეცნიერო საბჭო, შესაბამისი დასაბუთების საფუძველზე, უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება პრეზენტაციის მიმდინარეობის ვიდეო ან აუდიო ჩაწერასთან დაკავშირებით. ასეთი გადაწყვეტილების შესახებ წინასწარ უნდა ეცნობოს კანდიდატს.

5. პრეზენტაციაზე კანდიდატის არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობა ან უარი გამოცხადებაზე წარმოადგენს ობსერვატორიის დირექტორის შესარჩევი კონკურსიდან და არჩევნებიდან მისი დისკვალიფიკაციის საფუძველს, რის გამოც იგი კარგავს პროცესში შემდგომი მონაწილეობის გაგრძელების უფლებას.

მუხლი 8. არჩევნები

1. სამეცნიერო საბჭო ღია კონკურსის საფუძველზე, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით, ღია ან ფარული კენჭისყრით 5 წლის ვადით ირჩევს ობსერვატორიის დირექტორს და არჩევიდან 7 დღის ვადაში თანამდებობაზე დასანიშნად წარუდგენს მინისტრს.

2. მინისტრის მიერ ობსერვატორიის დირექტორის დანიშვნის წესი განსაზღვრულია ობსერვატორიის წესდებით.

3. სამეცნიერო საბჭო კენჭს უყრის საარჩევნო სიით განსაზღვრულ ყველა კანდიდატს ერთდროულად. სამეცნიერო საბჭოს ყოველ წევრს აქვს ერთი ხმის უფლება.

4. ხმის/ხმების ბათილობის საკითხზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გადაწყვეტილებას იღებს თავად სამეცნიერო საბჭო, სხდომაზე დამსწრე წევრთა უმრავლესობის გადაწყვეტილებით.

5. დაუშვებელია არჩევნების დროს კენჭისყრაში მონაწილეობისაგან თავის შეკავება. არჩევნებში მონაწილე სამეცნიერო საბჭოს წევრი ვალდებულია დააფიქსიროს თავისი გადაწყვეტილება.

6. არჩევნების შედეგების შეჯამების შედეგად, არჩეულად ითვლება საარჩევნო სიაში წარმოდგენილი ის კანდიდატი, რომელიც მიიღებს სამეცნიერო საბჭოს 5 წევრის დადებით („დიახ“) ხმას.

მუხლი 9. დირექტორის არჩევნების შედეგების გამოცხადება

დირექტორის არჩევნების შედეგები არჩევნების დღესვე გამოცხადდება საჯაროდ, ობსერვატორიის ვებ-გვერდზე: www.abao.ge.

მუხლი 10. ობსერვატორიის დირექტორის ჩაშლილი შესარჩევი კონკურსი და არჩევნები

1. ობსერვატორიის დირექტორის შესარჩევი კონკურსი და არჩევნები ითვლება ჩაშლილად, თუ მასში მონაწილეობის მისაღებად არ იქნა წარდგენილი არც ერთი განცხადება ან თუ საარჩევნო სიაში განსაზღვრულმა ვერცერთმა კანდიდატმა ვერ მოიპოვა დირექტორად არჩევისთვის საკმარისი ხმათა რაოდენობა.

2. ობსერვატორიის დირექტორის ხელახალი შესარჩევი კონკურსი და არჩევნები ტარდება ობსერვატორიის წესდებით განსაზღვრული წესით, სამეცნიერო საბჭოს მიერ განსაზღვრულ ვადებში.

თავი II. დასკვნითი დებულებანი

მუხლი 11. დავები

კანდიდატს უფლება აქვს, ობსერვატორიის დირექტორის შესარჩევ კონკურსთან და არჩევნებთან დაკავშირებულ საკითხებზე, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მიმართოს სასამართლოს.